

ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ დაზიანებული
გარემოს ნაწილის (7 940 კვ.მ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის) გამოსასწორებელი
ღონისძიებების - პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ
მდგომარეობამდე აღდგენის (მათ შორის ტექნიკური და ბიოლოგიური
რეკულტივაციის)
გეგმა/პროექტი



2026 წლის ივნისი

სარჩევი

რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი ...3	
1. შესავალი.....5	5
2. სამართლებრივი საფუძველი6	6
3. გამოსასწორებელი ღონისძიებების მიზანი, ამოცანა და მეთოდოლოგია8	8
4. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე..... 10	10
5. საპროექტო ტერიტორიის მდგომარეობის შეფასება..... 12	12
6. მიმოხილვა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....33	33
7. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები39	39
8. სარეკულტივაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაცია 40	40
9. ტექნიკური რეკულტივაცია..... 41	41
10. ბიოლოგიური რეკულტივაცია..... 43	43
11. სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი 46	46
12. მონიტორინგი 47	47
13. საგანგებო სიტუაციები და სავარაუდო გაუთვალისწინებელი გარემოებების მართვა..... 50	50
14. დასკვნა..... 51	51
15. სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა 53	53

ცხრილები

1. ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე. 11	
2. ცხრილში მოცემულია სანაყარო I-ის ინფორმაცია.....	15
3. ცხრილში მოცემულია სანაყარო VI-ის ინფორმაცია, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან.....	17
4. ცხრილში მოცემულია სანაყარო VII-ის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ორ ნაწილად.	26
5. ცხრილში წარმოდგენილია სანაყარო VIII-ის ინფორმაცია	29
6. ცხრილში წარმოდგენილია სანაყარო IX-ის ინფორმაცია	31
7. ცხრილი სამუშაოთა წარმოების გრაფიკი	46
8. ცხრილი - მონიტორინგის გეგმა	48

დანართები

დანართი 1	56
დანართი 2,	57
დანართი 3	58
დანართი 4	59
დანართი 5,	60
დანართი 6	61
დანართი 7	62

რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი

#	ტერმინი	განმარტება
1	ნიადაგი	დედამიწის ქერქის ზედაპირული ფხვიერი ფენა, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფისა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედების შედეგად.
2	დეგრადირებული ნიადაგი	ნიადაგი, რომლის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები გაუარესებულია, ხოლო პროდუქტიულობა დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა (მათ შორის, ინერტული მასებით გადაფარვის) ზემოქმედების შედეგად.
3	ნიადაგის ნაყოფიერი ფენა	ნიადაგის პროფილის ზედა ჰუმუსოვანი ნაწილი, რომელიც ხასიათდება მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი ქიმიური, ფიზიკური და აგროქიმიური თვისებებით.
4	რეკულტივაცია	ადამიანის საქმიანობის შედეგად დაზიანებული (დეგრადირებული) მიწების აღდგენა პირვანდელ ან პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე, მათი ეკოლოგიური პოტენციალის დასაბრუნებლად.
5	ტექნიკური რეკულტივაცია	რეკულტივაციის საწყისი საინჟინრო ეტაპი, რომელიც მოიცავს ტერიტორიის ინერტული მასებისგან გათავისუფლებას, რელიეფის გეგმარებას (მოსწორებას) და დარღვეული ზედაპირის მომზადებას ბიოლოგიური რეკულტივაციისთვის.
6	ბიოლოგიური რეკულტივაცია	რეკულტივაციის დასკვნითი ეტაპი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური რეკულტივაციის შემდეგ და მოიცავს ახალი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოწყობას, აგროტექნიკურ და ფიტომელიორაციულ (ბალახის დათესვა) ღონისძიებებს.
7	ინერტული ნარჩენები	ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს, არ იხსნება, არ იწვის, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და არ იწვევს გარემოს დაზიანებებს.

8	ფუჭი ქანი	სამშენებლო/საექსკავაციო სამუშაოების (გვირაბების გაყვანა, ფერდობის გადახსნა) შედეგად ამოღებული კლდოვანი ან მიწოვანი მასა, რომელიც პროექტის ფარგლებში იმართება როგორც ინერტული ნარჩენი.
9	ბუნებრივი რემედიაცია (თვითაღდგენა)	დაზიანებულ ტერიტორიაზე, ადამიანის აქტიური საინჟინრო ჩარევის გარეშე, ბუნებრივი პროცესების (კლიმატი, ფლორა) გავლენით მცენარეული საფარისა და ეკოლოგიური ბალანსის ეტაპობრივი აღდგენა.
10	პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენა/ქანი	განმარტება N424 დადგენილების შესაბამისად: მუხლი 2, პუნქტი ზ). - ნიადაგის პროფილის ნაწილი (ფენა), რომელიც უზრუნველყოფს მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს. ეს არის ზედაპირული ან მიწისქვეშა ქანების (გრუნტის) ფენა, რომელსაც საწყის ეტაპზე შეიძლება არ გააჩნდეს ჰუმუსის მაღალი შემცველობა, თუმცა თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ხელსაყრელია შესაბამისი აგროტექნიკური და ფიტომელიორაციული ღონისძიებების (სასუქისა და თესლის შეტანის) ჩასატარებლად და ვარგისია ბიოლოგიური რეკულტივაციისთვის - მცენარეული საფარის გასავითარებლად.
11	ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები	ქმედებები, რომლებიც მიმართულია გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად და დეგრადირებული ტერიტორიის საბაზისო (პირვანდელთან მიახლოებულ) მდგომარეობაში დასაბრუნებლად.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ დაზიანებული გარემოს ნაწილის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენას (მათ შორის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის) პროექტს.

შპს „ჭიორა ჰესი“ ახორციელებს მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე 15.85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტს. სამშენებლო პროცესში დაშვებული დარღვევების შედეგად, გარემოს მიაღდა ზიანი. კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა 7 940 კვ.მ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დეგრადაცია. აღნიშნულის შესაბამისად, დეპარტამენტის 2024 წლის 12 დეკემბრის №DES32400000584 ბრძანების საფუძველზე, კომპანიას დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, რაც ავალდებულებს კომპანიას (შპს „ჭიორა ჰესს“) საკუთარი ხარჯებით განახორციელოს ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები.

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, კომპანიამ ჩაატარა საბაზისო კვლევები და შეისწავლა დაზიანებული ტერიტორიის მდგომარეობა. დადგინდა, რომ დეგრადირებულ ფართობებზე ნიადაგმა განიცადა არსებითი ცვლილებები: დარღვეულია მისი ბუნებრივი სტრუქტურა, შემცირებულია ჰუმუსის ნივთიერებების შემცველობა და გაუარესებულია ფიზიკური და ბიოლოგიური თვისებები.

ნიადაგის უნიკალური მიკრობიოლოგიური და ქიმიური ბალანსის რადიკალური რღვევის გამო, სხვა ტერიტორიიდან ნაყოფიერი ფენის მარტივი შეტანა ვერ უზრუნველყოფს პირვანდელი მდგომარეობის სრულფასოვან აღდგენას. შესაბამისად, დეგრადირებული მიწის ზუსტად იმავე (პირვანდელ) მდგომარეობაში დაბრუნება ფიზიკურად შეუძლებელია. აღნიშნული დასაბუთება წარედგინა და გაზიარებულ იქნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ.

სააგენტოს 2026 წლის 11 თებერვლის №92/6 ბრძანებით დადგინდა, რომ ვინაიდან აღნიშნული 7 940 კვ.მ ტერიტორია (რომელიც მოიცავს I, VI, VII, VIII და IX სანაყაროებს) არ წარმოადგენს ჰესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, კომპანია ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი

გამოსასწორებელი ღონისძიებები და ტერიტორია დააბრუნოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ დაზიანებული გარემოს ნაწილის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენას (სადაც გათვალისწინებულია ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის სამუშაოები). დოკუმენტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და უშუალოდ ეფუძნება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 11 თებერვლის №92/6 ბრძანებას, რომელიც ავალდებულებს კომპანიას, უზრუნველყოს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის მომზადება. აღნიშნული წერილები წარმოდგენილია Error! Reference source not found.-ში. **Error! Reference source not found.**

წინამდებარე პროექტის მთავარი ამოცანაა, დეტალურად დაიგეგმოს ის გადაწყვეტილებები, მათ შორის ტექნიკური და ბიოლოგიური სარეკულტივაციო ნაბიჯები, რომელთა საშუალებითაც:

- განხორციელდება I, VII, VIII და IX სანაყაროებზე არსებული ინერტული ნარჩენის(გრუნტის, ფუჭი ქანის), გარკვეული ნაწილის უსაფრთხო ლოკაციაზე (მათ შორის გათვალისწინებულ ფუჭი ქანების მუდმივ სანაყაროზე) ტრანსპორტირება.
- უზრუნველყოფილი იქნება VI სანაყაროზე მიმდინარე ბუნებრივი რემედიაციის პროცესის ხელშეწყობა მინიმალური მექანიკური ჩარევით (მსხვილი ფრაქციის მოცილებით).

2. სამართლებრივი საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ დაზიანებული გარემოს ნაწილის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის პროექტს, რომელიც დამატებით მოიცავს როგორც ტექნიკურ, ისე ბიოლოგიური რეკულტივაციის ღონისძიებებს.

წარმოდგენილი პროექტის (ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის) შემუშავება და მასში გაწერილი სამუშაოების დაგეგმვა ეფუძნება საქართველოს მოქმედ გარემოსდაცვით კანონმდებლობასა და შესაბამისს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

პროექტის მომზადების სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს:

- „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი: წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის მთავარ სამართლებრივ საყრდენს. კანონი პრაქტიკაში ახორციელებს „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპს და მკაცრად განსაზღვრავს გარემოსთვის ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებას, შეიმუშაოს და საკუთარი სახსრებით განახორციელოს დაზიანებული ტერიტორიის პირვანდელ (ან მასთან მიახლოებულ) მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებები.
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“: არეგულირებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ძირითად პრინციპებს და უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს დაცვას შემდგომი დეგრადაციისგან.
- საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“: განსაზღვრავს ნიადაგის, როგორც განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსის დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონი მიზნად ისახავს ნიადაგის მთლიანობის შენარჩუნებასა და მისი ნაყოფიერების აღდგენის ხელშეწყობას.
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილება („ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი): აღნიშნული რეგლამენტი აღგენს დარღვეული მიწების ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის სტანდარტებსა და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებსაც ეყრდნობა წინამდებარე პროექტში გაწერილი პრაქტიკული ღონისძიებები.
- „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (25.12.2014 წ.)
- ტექნიკური რეგლამენტი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“. (11.08.2015 წ.)

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, დოკუმენტი პირდაპირ ეფუძნება და ასრულებს შემდეგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს:

- **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 11 თებერვლის №92/6 ბრძანება:** წარმოადგენს პროექტის შემუშავების პირდაპირ საფუძვლეს, რომლითაც განისაზღვრა და შეთანხმდა საპროექტო ტერიტორიის (7 940 კვ.მ) პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ფორმატი და კომპანიას დაევალა შესაბამისი ღონისძიებების გეგმის წარდგენა.
- **სსდ „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“ 2024 წლის 12 დეკემბრის №DES32400000584 ბრძანება:** დოკუმენტი, რომლითაც

იდენტიფიცირდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის მასშტაბი და შპს „ჭიორა ჰესს“ ოფიციალურად დაეკისრა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული აქტებითა და წარდგენილი დასაბუთებით დადგენილია, რომ №DES32400000584 ბრძანებით განსაზღვრულ დეგრადირებულ ფართობებზე, ნიადაგის ბუნებრივი სტრუქტურის არსებითი ცვლილების გამო, პირვანდელ მდგომარეობაში სრულად აღდგენა შეუძლებელია. თუმცა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 940 კვ.მ მიწის ფართობზე (I, VI, VII, VIII და IX სანაყაროები), შესაძლებელია ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა.

3. გამოსასწორებელი ღონისძიებების მიზანი, ამოცანა და მეთოდოლოგია

წინამდებარე პროექტის (გამოსასწორებელი ღონისძიებების) ძირითად ამოცანას წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ ინფრასტრუქტურის სამშენებლო არეალში მოქცეულ, 7 940 კვ.მ ფართობის მქონე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე (კერძოდ: I, VII, VIII და IX სანაყაროებზე) განთავსებული ინერტული მასების (ფუჭი ქანებისა და საექსკავაციო გრუნტის) მსხვილგაბარიტიანი ნაწილის (ლოდნარის) ამოღება და უსაფრთხოდ გადატანა სპეციალურად გამოყოფილ ფუჭი ქანების სანაყაროზე ან/და მდინარის ნაპირსამაგრად, ხოლო დარჩენილი მასის (მიწანარევი გრუნტის), როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ფენის“ ადგილზე გაშლა. ასევე, ამოცანა მოიცავს ბუნებრივად რემედიაცირებული უბნის (სანაყარო VI) შენარჩუნებას მინიმალური ჩარევის პრინციპით (მხოლოდ მსხვილი ლოდების გატანით). დამატებით საპროექტო ამოცანას წარმოადგენს, გამოსასწორებელი ღონისძიებების სახით მოხდეს აღნიშნული დაზიანებული ტერიტორიების შესაძლო პირვანდელ მდგომარეობამდე მიყვანა, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს აღნიშნული სანაყაროების სარეკულტივაციო სამუშაოებს. შესაბამისად, წინამდებარე პროექტის მიზანია, დაიგეგმოს ნაბიჯები, რომელთა საშუალებითაც შპს „ჭიორა ჰესი“ უზრუნველყოფს აღნიშნული 7 940 კვ.მ ფართობის რელიეფის აღდგენასა და ბუნებრივ გარემოსთან შერწყმას (მსხვილი ფრაქციების მოშორებით და ადგილზე დატოვებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ბიოლოგიური გამდიდრების გზით, ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე).

პროექტის ფარგლებში გამოსასწორებელი ღონისძიებების შერჩევა და დაგეგმვა დაეფუძნა შემდეგ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს:

1. საბაზისო ინფორმაციისა და ფაქტობრივი გარემოებების დოკუმენტურ ანალიზს, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა არსებული დოკუმენტების დეტალურ დამუშავებას, მათ შორის მიწის დეგრადაციის (ზიანის) დასაბუთებისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების წინასწარი ტექნიკური დოკუმენტაცია, ჭიორა ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
2. დაზიანებული არელების საველე-ვიზუალურ ინსპექტირება, რა დროსაც განხორციელდა საპროექტო არელების უშუალო ვიზუალური და ინსტრუმენტული შესწავლა. დაზიანებული ტერიტორიების GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები) ტექნოლოგიების მეშვეობით, დადგინდა თითოეული ინერტული სანაყაროს მიახლოებითი მონაცემები, ფართობი და საკადასტრო საზღვრები;
3. ტერიტორიების დიფერენცირებულ შეფასებას (ბუნებრივი თვითაღდგენის პროცესში მყოფი და აქტიურ ტექნიკურ ჩარევას დაქვემდებარებული უბნების გამიჯვნა), დაზუსტებით, საველე-ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა სანაყაროების კატეგორიზაცია მათი ფიზიკური მდგომარეობისა და ბიოლოგიური რემედიაციის (თვითაღდგენის) პოტენციალის მიხედვით. ამ მეთოდით გაიმიჯნა ის უბნები, რომლებიც საჭიროებენ აქტიურ ჩარევას და ის უბანი, სადაც მიმდინარეობს ბუნებრივი ლანდშაფტური ინტეგრაცია;
4. საინჟინრო-გარემოსდაცვითი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას ნარჩენების ამოღება-ტრანსპორტირებისთვის ისე, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დამატებითი ეკოლოგიური რისკები;
5. სარეკულტივაციო მიდგომების შემუშავება და კონტროლი (მონიტორინგი), რაც მოიცავს ტერიტორიაზე დატოვებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის აღდგენის (ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის) ღონისძიებების დაგეგმვას. იგი ითვალისწინებს ტერიტორიის მორფოლოგიურ მოსწორებას, ბუნებრივი იერსახის დაბრუნებას და შემდგომი ინსპექტირების (კონტროლის) მექანიზმების გაწერას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბალახოვანი საფარის სტაბილური განახლება და ლანდშაფტთან შერწყმა.

შპს „ჭიორა ჰესის“ სარეკულტივაციო არელებზე დაგეგმილი ღონისძიებები გამოირჩევა მაღალი პრაქტიკული განხორციელებადობით, ვინაიდან პროცესში ჩართული იქნება სტანდარტული, ხელმისაწვდომი მიწისმთხრელი და

სატრანსპორტო ტექნიკა (მაღალი გამავლობის ექსკავატორები, თვითმცლელები) და გამოყენებული იქნება აპრობირებული აგროტექნიკური მეთოდები, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში ჰიდროთესვა.

ღონისძიებების ეკოლოგიური ეფექტურობა უზრუნველყოფილია იმ ფაქტით, რომ ტერიტორიაზე არ ხდება ინერტული მასების კონსერვაცია. ხორციელდება მასის სეპარაცია- მსხვილგაბარიტიანი ნაწილის (ლოდების) მოხსნა-გატანა, ხოლო დარჩენილი მიწანარევი გრუნტის, როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ფენის“, ადგილზე გაშლა და რელიეფის მოსწორება. ახალი ნიადაგის შემოტანის ნაცვლად, ადგილზევე განაწილებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ბიოლოგიური გამდიდრება (სასუქის შეტანა) და ადგილობრივი კლიმატისთვის დამახასიათებელი (სუბალპური) მრავალწლიანი ბალახების თესლის დათესვა უზრუნველყოფს დეგრადირებული ფართობის სწრაფ დაკორდებას. ეს მინიმუმამდე ამცირებს ქარისა და წყლისმიერი ეროზიის რისკებს და ეფექტურად აღადგენს ბუნებრივი ლანდშაფტის ისტორიულ იერსახეს.

4. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე

შპს „ჭიორა ჰესის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ენერგეტიკული სექტორი, კერძოდ, კომპანია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს ჰიდროელექტროსადგურის „ჭიორა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მიხედვით, „ჭიორა ჰესი“ წარმოადგენს დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურს. ენერგეტიკული ობიექტის ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 15.85 მგვტ-ს, ხოლო ძირითადი სათავე ნაგებობები და ინფრასტრუქტურა განთავსებულია მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე (საპროექტო არეალი ასევე მოიცავს მდინარე რიონის ხეობას).

ჰესის ტექნიკური სქემა და ძირითადი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

- სათავე ნაგებობები: მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე წყალმიმღები კვანძების მოწყობა;
- სადერივაციო სისტემა: წყლის გადაყვანის მიზნით მოწყობილი მიწისქვეშა (გვირაბები) და მიწისზედა (სადაწნეო მილსადენები) სტრუქტურები;
- ძალური კვანძი: ჰესის შენობა და ტურბინების განთავსების არეალი;

- დამხმარე ინფრასტრუქტურა: დროებითი და მუდმივი მისასვლელი გზები, სამშენებლო მოედნები.

სწორედ აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის რთული საინჟინრო ინფრასტრუქტურის (გვირაბების გაყვანა, ფერდობების გადახსნა, სათავეებისა და ჰესის შენობის მოწყობა) სამშენებლო ფაზის მიმდინარეობისას, სამუშაო პროცესების ფარგლებში, მოხდა წინამდებარე პროექტში განსახილველი ტერიტორიების დეგრადაცია და ინერტული ნარჩენების სანაყაროების ფორმირება, რამაც განაპირობა გამოსასწორებელი ღონისძიებების სამუშაოების აუცილებლობა.

საპროექტო ტერიტორია, რომელზეც დაგეგმილია აღდგენითი ღონისძიებების გატარება, მჭიდროდ უკავშირდება ჰესის საპროექტო არეალს და მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში. საპროექტო არეალი ჯამში მოიცავს 7 940 კვ.მ ფართობს. აღნიშნული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე.

1. ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე.

1	საქმიანობის განმახორციელებელი/კომპანიის დასახელება	შპს ჭიორა ჰესი
2	საიდენტიფიკაციო კოდი	405265626
	დირექტორი	პაატა ჟღენტი
3	მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გ.ტაბიძის ქუჩა N1,სართული 3
4	საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი	555 555 595
5	ელ. ფოსტა	hesichiora@gmail.com

5. საპროექტო ტერიტორიის მდგომარეობის შეფასება

5.1 დაზიანებული ტერიტორიის არსებული და საბაზისო მდგომარეობა

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის №DES32400000584 ბრძანებისა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 11 თებერვლის №92/6 ბრძანების შესაბამისად, იდენტიფიცირებული დაზიანებული ტერიტორია წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ საპროექტო არეალში მოქცეულ 7 940 კვ.მ ფართობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, აღნიშნულ ფართობებზე არამიზნობრივად განთავსდა ფუჭი ქანი და საექსკავაციო ინერტული გრუნტი. ნარჩენების მასამ ნაწილობრივ დაფარა მიწის ზედაპირი, გამოიწვია ნიადაგის ნაყოფიერი ფენისდაზიანება, სტრუქტურული დეგრადაცია და ადგილობრივი ბალახოვანი საფარის განადგურება, რამაც დროებით შეაჩერა ნიადაგის ეკოლოგიური ასპექტების ფუნქციონირება.

ფაქტობრივი მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ აღნიშნული 7 940 კვ.მ ფართობიდან უდიდესი ნაწილი (7 923 კვ.მ) გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მდინარე რიონის მარცხენა ჭალისზედა ტერასას. სამშენებლო ჩარევამდე ეს ზონა ხასიათდებოდა ჭალისთვის დამახასიათებელი კენჭნართა და თიხნართი გაჯერებული, თხელი (დაახლოებით 4-5 სმ სისქის) დაბალპროდუქტიული ნიადაგის ფენით. ბუნებრივი რელიეფი ნაყარების გაჩენამდე იყო უსწორმასწორო, ხასიათდებოდა ჩაღრმავებებითა და ჩახრამვებით, ხოლო ცალკეულ უბნებზე ფიქსირდებოდა ბუნებრივი წყლისმიერი ეროზიის (ნიადაგის გადარეცხვის) ნიშნები.

რეგიონული გეობოტანიკური და ნიადაგური კვლევების მიხედვით, მოცემული არეალი ძირითადად წარმოდგენილი იყო ორი წამყვანი ტიპის ნიადაგური საფარით:

- ყომრალი მჟავე ნიადაგები: ხასიათდება პროფილის ერთგვაროვანი ყომრალი შეფერილობით, მკაფიოდ გამოხატული მჟავე რეაქციით, მთელ სიღრმეზე მიმდინარე გათიხების პროცესით, აგრეთვე ჰუმუსის საშუალო მაჩვენებლით და შთანთქმის საშუალო ტევადობით.

- მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგები: ძირითადად გავრცელებულია მაღალ ჰიფსომეტრიულ ნიშნულებზე, ხასიათდება მუქი შეფერილობის მქონე არამყარი წვრილმარცვლოვანი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, სიღრმეში დედაქანის ნამტვრევებისა და ხირხატის გაზრდილი შემცველობით, და მჟავე ან სუსტად მჟავე რეაქციით.

ბიოლოგიური თვალსაზრისით, ეს ტერიტორია არ წარმოადგენდა ტყის ფონდს. იგი დაფარული იყო ადგილობრივი ალპური და სუბალპური ზონისთვის დამახასიათებელი მყარი ბალახოვანი საფარით, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა სათიბ-სამოვრებად.

ინერტული მასების ხანგრძლივმა ზემოქმედებამ და ზედაპირის მექანიკურმა გადაფარვამ ნიადაგურ საფარზე მკვეთრი უარყოფითი გავლენა მოახდინა:

- ორგანული ნივთიერებების კარგვა: ნაყარის სიმძიმისა და იზოლაციის გამო მოხდა ჰუმუსის დაკარგვა, რამაც პირდაპირ გამოიწვია მიწის ნაყოფიერებისა და მისი ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოტენციალის მინიმუმამდე დაყვანას.
- სტრუქტურული რღვევა: მთლიანად დაირღვა ნიადაგის ბუნებრივი პროფილი.
- ფიზიკური თვისებების გაუარესება: კრიტიკულად შემცირდა და შეიცვალა ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორცაა ნიადაგის წყალგამტარობა, ტენშემკავებლობის უნარი და ბუნებრივი აერაცია (ჰაერით გაჯერება).

პროექტის ფარგლებში, ახალი ნიადაგის შემოტანის ნაცვლად, პროექტი ითვალისწინებს ადგილზე არსებული მიწანარევი გრუნტის (როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ფენის“) შენარჩუნებასა და მის ბიოლოგიურ გამდიდრებას. ვინაიდან აღნიშნული მიდგომით ფორმირებული ბიოსაფარი ზუსტად ვერ გაიმეორებს თავდაპირველი ნიადაგის სპეციფიკას, ტერიტორიის სრულად პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში დაბრუნება შეუძლებელია. შესაბამისად, წინამდებარე პროექტი ორიენტირებულია ტერიტორიის პირვანდელთან მიახლოებულ ნიშნულამდე მიყვანაზე.

ვინაიდან ნიადაგის მიკრობიოლოგიური სტრუქტურა და ქიმიური ბალანსი უნიკალურია და სხვა ლოკაციიდან მოტანილი გრუნტი სრულფასოვნად ვერ ჩაანაცვლებს ადგილობრივ ნიადაგწარმოქმნის პროცესს, ტერიტორიის სრულად პირვანდელ მდგომარეობამდე დაბრუნება შეუძლებელია. შესაბამისად,

წინამდებარე პროექტი ორიენტირებულია ტერიტორიის პირვანდელთან მიახლოებულ ნიშნულამდე მიყვანაზე.

საპროექტო ტერიტორიაზე ინერტული მასების (ფუჭი ქანებისა და საექსკავაციო გრუნტის) დაგროვება და სანაყაროების ფორმირება პირდაპირ იყო განპირობებული „ჭიორა ჰესის“ ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობის ტექნოლოგიური ციკლით. სამუშაოების მიმდინარეობისას, მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობების მშენებლობამ წარმოშვა დიდი მოცულობის გრუნტის ამოღების აუცილებლობა.

კონკრეტულად, მასების წარმოქმნა და მათი ლოკალური განთავსება უკავშირდებოდა შემდეგ ძირითად პროცესებს:

- სათავე ნაგებობებისა და წყალმიმღებების მოწყობა: მდინარე ჩვეშურასა და მდინარე ხვარგულაზე საყრდენი და წყალმზომი სტრუქტურების მშენებლობისას განხორციელდა კალაპოტებისა და მიმდებარე სანაპირო ზოლის მასშტაბური ექსკავაცია, რამაც წარმოშვა მყარი კლდოვანი ქანებისა და მდინარეული ნატანის ნაზავი (აქედან ფორმირდა სათავე ნაგებობასთან არსებული მცირე უბანი).
- სადერივაციო სისტემისა და პორტალების მშენებლობა: პროექტის ერთ-ერთ ყველაზე შრომატევად ნაწილს წარმოადგენდა სამხრეთ პორტალისა და მილსადენის დერეფნის გაყვანა. მიწისქვეშა სამუშაოებისა და ფერდობების გადახსნის შედეგად წარმოქმნილი დიდი მოცულობის ფუჭი ქანი, დროებითი დასაწყობებისა და შემდგომი მართვის მიზნით, განთავსდა უშუალოდ სამუშაო მოედნების მიმდებარედ.
- ძალური კვანძის და მისასვლელი გზების მოწყობა: ჰესის შენობის (ძალური კვანძის) საძირკვლის მომზადებამ და რთულ რელიეფზე მძიმე ტექნიკის გადაადგილებისთვის საჭირო გზების გაყვანამ გამოიწვია ნიადაგის ზედა ფენის მოხსნა და გრუნტის მასების გადაადგილება.

აღნიშნული მიწის ნაკვეთების შერჩევა ინერტული გრუნტისა და ფუჭი ქანების დასასაწყობებლად განპირობებული იყო უშუალოდ სამშენებლო მოედნების ოპტიმალური ინჟინრული და ლოგისტიკური ხელმისაწვდომობით. მაღალმთიანი რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე და სამუშაოების ორგანიზების პროექტიდან გამომდინარე, აღნიშნული უბნები გამოიყენებოდა როგორც ტექნოლოგიური პლატფორმები მასალის დროებითი განთავსებისა და მასების შემდგომი მართვისთვის. სამშენებლო ციკლის მიმდინარეობისას, აღნიშნულ საპროექტო ფართობებზე მოხდა მასების ეტაპობრივი აკუმულირება, რამაც გამოიწვია მიწის ნაკვეთების ზედაპირული გადაფარვა. დღეის მდგომარეობით,

სამშენებლო ფაზის დასრულებასთან ერთად, აღნიშნული ტერიტორიები საჭიროებს გეგმაზომიერ დიფერენცირებულ სარეკულტივაციო მიდგომას, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს დაზიანებული ტერიტორიების საკომპენსაციო სამუშაოებს.

5.2 სანაყაროების ინდივიდუალური მდგომარეობა

სანაყარო I - პირველი სანაყარო წარმოადგენს მცირე მასშტაბის უბანს, რომელიც მდებარეობს მდინარე ჩვეშურასთან, უშუალოდ სათავე ნაგებობის მიმდებარე ვაკე რელიეფზე. აღნიშნულ 17 კვ.მ ფართობზე განთავსებულია დაახლოებით 26მ³ მოცულობის ინერტული ნარჩენი. აღნიშნულ მონაკვეთზე განხორციელდება ფრაქციული სეპარაცია. კერძოდ, 26 მ³ მასიდან დაახლოებით 10 მ³ (საშუალო და დიდი სიდიდის ლოდნარი) ამოღებული და გატანილი იქნება ტერიტორიიდან (საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მდინარე ჩვეშურას ნაპირსამაგრად ან/და განთავსდება სანაყაროზე). დარჩენილი 15-16 მ³ მიწანარევი გრუნტი შენარჩუნდება, როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ქანი/ფენა“ (საქართველოს მთავრობის №424 დადგენილება), რომელიც სრულად გაიშლება ფართობზე და ბიოლოგიური ეტაპის ფარგლებში დაექვემდებარება დამატებით გამდიდრებას (სასუქისა და ბალახის თესლების შეტანა ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე).

ცხრილში 2 წარმოდგენილია აღნიშნული სანაყაროს მონაცემები. ასევე ტერიტორიაზე მოხდა არსებული სიტუაციის დასურათება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სურათზე. დამატებით იხილეთ დანართი 1, სიტუაციური ნახაზი.

2. ცხრილში მოცემულია სანაყარო I-ის ინფორმაცია

N	უბნის დასახელება	ფართობი (კვ.მ)	მიწის სტატუსი	საკადასტრო კოდი (ნაწილი)
	სანაყარო I	17	სასოფლო-სამეურნეო	88.12.21.001.020
		X კოორდ.	Y კოორდ.	
1		381149		4737101
2		381156		4737100
3		381158		4737095



სურათზე ნაჩვენებია სანაყარო I -ზე არსებული მდგომარეობა.

სანაყარო VI - მეექვსე სანაყარო საპროექტო არეალი(ფართობი: 5 961 კვ.მ) განთავსებულია გადახსნილ დაფერდებულ ტერიტორიაზე (ფერდობზე). მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული სანაყარო არ წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ პოლიგონს და იგი იყოფა 6 სხვადასხვა ნაწილად. ტერიტორიის ფრაგმენტაცია და 6 დამოუკიდებელ უბნად დაყოფა განპირობებულია სამი ძირითადი ფაქტორით:

1. საკადასტრო და სტატუსის სპეციფიკის გათვალისწინებით: საპროექტო არეალი ვრცელდება სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე, რომლებსაც აქვს სხვადასხვა საკადასტრო კოდი.
2. სივრცითი წყვეტა (არამომიჯნავე განლაგება): ნაყარი მასები რელიეფზე განთავსებულია ფრაგმენტულად, ერთმანეთისგან ფიზიკურად დაშორებულ (არამომიჯნავე) არეალებზე.
3. ეკოლოგიური და ტექნიკური საჭიროებების დიფერენციაცია: თითოეულ ნაწილს აქვს განვითარების განსხვავებული დინამიკა, შესაბამისად, მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას (ნაწილზე მიმდინარეობს ბუნებრივი აღდგენა, ხოლო ნაწილი საჭიროებს ტექნიკურ ჩარევას).

ამჟამინდელი მდგომარეობით, ნაყარმა გრუნტმა კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებით განიცადა ინტენსიური ბუნებრივი ჯდომა და დატკეპნა, რის გამოც მისი რელიეფი ბუნებრივად გათანაბრდა. განსაკუთრებით პირველ და მესამე ნაწილზე, სადაც გამოხატულია მყარი ბალახოვანი საფარის განვითარება - ფაქტობრივად, მიმდინარეობს აქტიური ბუნებრივი რემედიაცია და ობიექტი ვიზუალურად და ეკოლოგიურად სრულად არის ინტეგრირებული ადგილობრივ ლანდშაფტთან. საქართველოს მთავრობის №424 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ტერიტორიაზე არსებული მიწანარევი მასა მიჩნეულია „პოტენციურად ნაყოფიერ ქანად/ფენად“.

ცხრილში 3 მოცემულია სანაყარო VI -ის დეტალური ინფორმაცია, მათ შორის კოორდინატები თითოეული ნაწილისთვის. დამატებით იხილეთ დანართი 2, დანართი 3, დანართი 4, სადაც ნაჩვენებია სანაყაროების ექვსივე ნაწილი.

ვინაიდან სანაყარო VI შედგება არამომიჯნავე ტერიტორიებისგან, ქვემოთ მოცემულ სურათზე ნაჩვენებია VI სანაყაროს ექვსივე ნაწილის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა.

- ნაწილი 1 – სურათი N1-N4
- ნაწილი 2 – სურათი N5.
- ნაწილი 3 – სურათი N6-N11
- ნაწილი 4 – სურათი N12
- ნაწილი 5 – სურათი N13
- ნაწილი 6 - სურათი N1

3. ცხრილში მოცემულია სანაყარო VI-ის ინფორმაცია, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან.

კორდ. N	უბნის დასახელება	ფართობი (კვ.მ)	მიწის სტატუსი	საკადასტრო კოდი (ნაწილი)
	სანაყარო VI - ნაწილი 1	2038	სასოფლო-სამეურნეო	88.12.21.001.613
X კოორდ.			Y კოორდ.	
1		379519		4734803
2		379606		4734834
3		379611		4734788

	სანაყარო VI - ნაწილი 2	82	სასოფლო- სამეურნეო	88.12.21.003.015
X კოორდ.			Y კოორდ.	
4		379636		4734785
5		379671		4734782
6		379678		4734780
14		379689		4734776
	სანაყარო VI - ნაწილი 3	3615	სასოფლო- სამეურნეო	88.12.21.003.006
X კოორდ.			Y კოორდ.	
6		379678		4734780
7		379699		4734867
8		379737		4734880
9		379745		4734879
10		379717		4734798
11		379708		4734780
13		379705		4734773
14		379689		4734776
	სანაყარო VI - ნაწილი 4	113	სასოფლო- სამეურნეო	88.12.21.003.009
X კოორდ.			Y კოორდ.	
11		379708		4734780
12		379733		4734769
13		379705		4734773
	სანაყარო VI - ნაწილი 5	85	სასოფლო- სამეურნეო	88.12.21.003.012
X კოორდ.			Y კოორდ.	
15		379755		4734774
16		379770		4734777
17		379767		4734767
	სანაყარო VI - ნაწილი 6	28	სასოფლო- სამეურნეო	88.12.21.003.012
X კოორდ.			Y კოორდ.	
18		379772		4734798
19		379776		4734800
20		379773		4734789
21		379772		4734790



სურათზე N1 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 1-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N2 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 1-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N3 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 1-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N4 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 1-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N5 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 2-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N6 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 3-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N7 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 3-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N8 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 3-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N9 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 3-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N10 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 3-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N11 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 3-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N12 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 4-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N13 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 5-ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N14 ნაჩვენებია სანაყარო VI -ის ნაწილი 6-ზე არსებული მდგომარეობა.

სანაყარო VII -მეშვიდე სანაყარო მდებარეობს ჰესის ძალური კვანძის/შენობის მიმდებარედ, სრულად ვაკე რელიეფზე. საკადასტრო კოდით არსებებული მონაკვეთი იყოფა ორ ნაწილად, სადაც განთავსებულია საშუალოდ 0.75 მ სიმაღლის ნაყარი, საერთო მოცულობით 394.5 მ³. ორივე ნაწილზე ფაქტობრივი ეკოლოგიური მდგომარეობა იდენტურია. ლოკაციაზე განხორციელდება ფრაქციული სეპარაცია, კერძოდ, ნაყარი მასის დაახლოებით 350 მ³ (მსხვილი გაბარიტის ლოდები) ამოღებული და გატანილი იქნება ტერიტორიიდან (საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მდინარის ნაპირსამაგრად ან/და განთავსდება ფუჭი ქანების მუდმივ სანაყაროზე). დარჩენილი, დაახლოებით 44.5მ³ მიწანარევი გრუნტი შენარჩუნდება, როგორც პოტენციურად ნაყოფიერი ქანი/ფენა, რომელიც სრულად გაიშლება ფართობზე და ბიოლოგიური ეტაპის ფარგლებში დაექვემდებარება დამატებით გამდიდრებას (სასუქისა და ბალახის თესლების შეტანა ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე). ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია (ინერტული ნარჩენით) კლდოვანი და მიწოვანი ფრაქციებით და ნიადაგის სტრუქტურა პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი. ცხრილში 4 მოცემულია სანაყარო VII-ის დეტალური ინფორმაცია. ქვემოთ მოცემულ სურათებზე ნაჩვენებია VII სანაყაროს ორივე ნაწილის არსებული მდგომარეობა (დამატებით იხილეთ დანართი 5-ში წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზები).

4. ცხრილში მოცემულია სანაყარო VII-ის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ორ ნაწილად.

კორდ. N	უბნის დასახელება	ფართობი (კვ.მ)	მიწის სტატუსი	საკადასტრო კოდი (ნაწილი)
	სანაყარო VII - ნაწილი 1	424	სასოფლო-სამეურნეო	88.12.21.003.001
X კოორდ.			Y კოორდ.	
1		379707		4734667
2		379731		4734641
3		379748		4734614
6		379741		4734611
7		379704		4734667
	სანაყარო VII - ნაწილი 2	102	სასოფლო-სამეურნეო	88.17.21.118
X კოორდ.			Y კოორდ.	
3		379748		4734614
4		379755		4734597
5		379751		4734596
6		379741		4734611



სურათზე N15 ნაჩვენებია სანაყარო VII -ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N16 ნაჩვენებია სანაყარო VII -ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N17 ნაჩვენებია სანაყარო VII -ზე არსებული მდგომარეობა.

სანაყარო VIII - მერვე სანაყარო (ფართობი: 235 კვ.მ) ასევე მდებარეობს ჰესის ძალური კვანძის (შენობის) მიმდებარედ არსებულ ვაკე ტერიტორიაზე. ფართობზე არსებული მძიმე ინერტული ნაყარი წარმოადგენს მექანიკურ ბარიერს, რომელიც სრულად ფარავს მიწის ზედაპირს და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს. ვინაიდან ლოკაციაზე ნიადაგის ფენა მთლიანად არის გადაფარული კლდოვანი და მიწოვანი ფრაქციებით(ინერტული ნარჩენებით), ბალახოვანი საფარის ბუნებრივი გზით (რემედიაციით) განახლება ფიზიკურად შეუძლებელია. აღნიშნული გარემოება აუცილებელს ხდის ფართობის სრულ ტექნიკურ რეკულტივაციას. ცხრილში 5 წარმოდგენილია სანაყარო VIII-ის დეტალური ინფორმაცია. ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა მოცემულია ქვემოთ (სურათები N18-N20), ხოლო ობიექტის სიტუაციური ნახაზი წარმოდგენილია დოკუმენტის დანართი 6.

5. ცხრილში წარმოდგენილია სანაყრო VIII-ის ინფორმაცია

N	უბნის დასახელება	ფართობი (კვ.მ)	მიწის სტატუსი	საკადასტრო კოდი (ნაწილი)
	სანაყრო VIII	235	სასოფლო-სამეურნეო	88.12.21.003.001
X კოორდ.			Y კოორდ.	
7		379670		4734675
8		379680		4734670
9		379651		4734655
10		379647		4734660



სურათზე N19 ნაჩვენებია სანაყრო VIII -ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N20 ნაჩვენებია სანაყარო VIII -ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N21 ნაჩვენებია სანაყარო VIII -ზე არსებული მდგომარეობა.

სანაყარო IX - მეცხრე სანაყარო წარმოადგენს ჰესის ძალური კვანძის მიმდებარე ვაკე ლანდშაფტის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ დაზიანებულ ნაწილს (ფართობი: 1 201 კვ.მ). ტერიტორიაზე განთავსებულია საშუალოდ 0.75 მ სიმაღლის ნაყარი, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 900.75 მ³-ს. აღნიშნულზე განხორციელდება ფრაქციული კერძოდ, ნაყარი მასის დაახლოებით 800 მ³ მსხვილი გაბარიტის ქვები და ლოდები ამოღებული და გატანილი იქნება ტერიტორიიდან (საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მდინარეების ნაპირსამაგრად ან/და განთავსდება ფუჭი ქანების მუდმივ სანაყაროზე). ხოლო დარჩენილი 100.75მ³(მიწანარევი ფრაქცია) შენარჩუნდება როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ქანი/ფენა“. ეს მასა ტექნიკური ეტაპის ფარგლებში სრულად გაიშლება იქვე, არსებულ უსწორმასწორო რელიეფზე ფართობის მოსასწორებლად, რის შემდგომაც ბიოლოგიური სამუშაოების დროს მოხდება მისი დამატებითი გამდიდრება (სასუქისა და ბალახის თესლების შეტანა ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე).

ცხრილში 6 წარმოდგენილია სანაყარო IX-ის დეტალური ინფორმაცია. ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა მოცემულია ქვემოთ (სურათები N22-N24), ხოლო ობიექტის სიტუაციური ნახაზი წარმოდგენილია დოკუმენტის დანართი 6.

6. ცხრილში წარმოდგენილია სანაყარო IX-ის ინფორმაცია

N	უბნის დასახელება	ფართობი (კვ.მ)	მიწის სტატუსი	საკადასტრო კოდი (ნაწილი)
	სანაყარო IX	1201	სასოფლო-სამეურნეო	88.12.21.003.001
X კოორდ.			Y კოორდ.	
1		379679		4734685
2		379600		4734679
3		379597		4734697
4		379648		4734695
5		379674		4734703
6		379676		4734701



სურათზე N22 ნაჩვენებია სანაყარო IX -ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N23 ნაჩვენებია სანაყარო IX -ზე არსებული მდგომარეობა.



სურათზე N24 ნაჩვენებია სანაყარო IX -ზე არსებული მდგომარეობა.

6. მიმოხილვა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ჭიორა ჰესის“ სამშენებლო სამუშაოების ფაზაში, რთული რელიეფური პირობების გამო, საჭირო გახდა საექსკავაციო გრუნტისა და ფუჭი ქანების დროებითი სანაყაროების მოწყობა, რომლებმაც გამოიწვია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 7 940 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე გადაფარვა და დეგრადაცია. წინამდებარე თავი აღწერს იმ გამოსასწორებელ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ტერიტორიის პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენას, ინერტული ნარჩენების უსაფრთხო მართვას და ბუნებრივი ლანდშაფტის ფორმირებას.

პროექტის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული გამოსასწორებელი ღონისძიებების რამდენიმე შესაძლო ალტერნატივა. თითოეული ვარიანტი შეფასდა როგორც ეკოლოგიური, ისე სამართლებრივი მიზანშეწონილობის კუთხით:

- თავდაპირველად განხილულ იქნა ნულოვანი ალტერნატივა, აღნიშნული ალტერნატივა გულისხმობს ტერიტორიის არსებულ მდგომარეობაში

დატოვებას, რაც ნიშნავს ნაყარი მასებით დაფარული ფართობების უცვლელად შენარჩუნებას და ბუნებრივი თვითაღდგენის პროცესების განვითარებას. თეორიულად, ეს ვარიანტი უშვებს იმ პირობას, რომ დროთა განმავლობაში ნაყარ მასაზე თავისით აღდგება ბიოლოგიური ფენა, განვითარდება მცენარეული საფარი და ტერიტორია ბუნებრივად შეერწყმება ადგილობრივ ლანდშაფტს. თუმცა, პრაქტიკული და ეკოლოგიური თვალსაზრისით, ეს მიდგომა უარყოფილ იქნა. დაუხარისხებელი მასისა და მსხვილგაბარიტიანი ლოდების ადგილზე უცვლელად დატოვება, აგრეთვე რელიეფის მოუსწორებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს ეკოლოგიური ბალანსის ბუნებრივად აღდგენას. ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იარსებებს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის მუდმივი რისკი, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის მცენარეულობის სტაბილურ განვითარებას. ყოველივე ამასთან ერთად, უმოქმედობა პირდაპირ ეწინააღმდეგება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რადგან იწვევს მიწის მიმდინარე, ხანგრძლივ დეგრადაციას.

- განხილულ იქნა ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ და ბიოლოგიურ რეკულტივაციას, რომელიც წარმოადგენს ოპტიმალურ, კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მყოფ გადაწყვეტილებას. სარეკულტივაციო სამუშაოების შესაბამისად მოხდება ტერიტორიებზე განთავსებული მასების ფრაქციული სეპარაცია: მსხვილგაბარიტიანი ლოდების ამოღება და გატანა (მდინარის ნაპირსამაგრად ან სანაყაროზე), ხოლო დარჩენილი მიწანარევი მასის, როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ფენის“ ადგილზე შენარჩუნება და რელიეფის მოსწორება. სადრენაჟე ქსელის მოწესრიგების (საჭიროების შემთხვევაში) შემდგომ განხორციელდება ამ ფენის ბიოლოგიური გამდიდრება (სასუქისა და ენდემური ბალახის თესლის შეტანა) ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ტერიტორიის დაბრუნებას „პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობაში“.

ალტერნატივების ანალიზის შესაბამისად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების დაგეგმვის ეტაპზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეკულტივაციის აუცილებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ ნიშნავს დაზიანებული ფართობების პირვანდელ მდგომარეობამდე მიყვანას.

ზემოაღნიშნული გარემოებების, ადგილზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობისა და ალტერნატივების ანალიზის საფუძველზე, გადაწყდა დაზიანებული სანაყაროების ტერიტორიებზე სრულფასოვანი გამოსასწორებელი

ლონისძიებებისთვის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის განხორციელება.

ვინაიდან საპროექტო ფართობების (სანაყაროების) დიდ ნაწილზე არსებული მდგომარეობა მოითხოვს ტექნიკურ ჩარევას, პროექტი ითვალისწინებს მასების დახარისხებას. კერძოდ, ტექნიკური ეტაპის (მსხვილი ფრაქციების ამოღება-გატანის) დასრულების შემდგომ, რელიეფის საბოლოო ფორმირებისა და ბიოლოგიური აღდგენის მიზნით, ადგილზე გაშლილ და მოსწორებულ პოტენციურად ნაყოფიერ ფენაში შეტანილი იქნება შესაბამისი სასუქები და ბალახის თესლი, ახალი ჰუმუსოვანი ფენის შემოზიდვის გარეშე.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების მიმდინარეობისას, საპროექტო არეალის საზღვრები მკაცრად იქნება დაცული, რათა არ მოხდეს მომიჯნავე ბუნებრივ ლანდშაფტზე, ტყის ფონდის მიწებზე, მიწისა და ნარჩენების შემთხვევითი გადაყრა და არ შეიზღუდოს გადაადგილება.

გამოსასწორებელი სამუშაოების განხორციელებისას, შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ სრულად იქნება უზრუნველყოფილი „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.

შესაბამისად, ყველა ტექნიკური თუ ბიოლოგიური სარეკულტივაციო ღონისძიება იწარმოებს მკაცრად ზემოხსენებული დადგენილების შესაბამისად.

6.1 ინფორმაცია გამოსასწორებელი ღონისძიებების სამუშაოებზე და მათ შორის სარეკულტივაციო სამუშაოებზე

საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი, რომლისთვისაც გათვალისწინებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოები, ჯამში მოიცავს 7 940 კვ.მ-ს. გამოსასწორებელი ღონისძიებები იყოფა ორ კატეგორიად:

1. ფრაქციული სეპარაცია და ტექნიკურ-ბიოლოგიური რეკულტივაცია: შემდეგ სანაყაროებზე (I, VII, VIII, IX — ჯამში 1 979 კვ.მ) განხორციელდება აქტიური ჩარევა, რაც გულისხმობს ნაყარი მასის დახარისხებას. მსხვილი ფრაქცია (ლოდნარი) სრულად გავა ტერიტორიიდან, ხოლო დარჩენილი მიწანარევი მასა (როგორც

პოტენციურად ნაყოფიერი ფენა) დარჩება ადგილზე და დაექვემდებარება ბიოლოგიურ გამდიდრებას ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე.

- წერტილოვანი საინჟინრო-გამოსასწორებელი სამუშაოები: მოიცავს VI სანაყაროს (5 961 კვ.მ), სადაც ბუნებრივი გამწვანების პროცესი უკვე დაწყებულია. დამატებით დაგეგმილია მცირე ჩარევები, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება რელიეფის ლოკალურ მოსწორებასა და მსხვილი ფრაქციისგან წერტილოვან გათავისუფლებასთან.

ტექნიკური რეკულტივაციის ძირითად ფაზას წარმოადგენს მძიმე ტექნიკის ჩართულობით ლოკაციებიდან ჯამში დაახლოებით 1310 მ³ მოცულობის მსხვილგაბარიტიანი ქანისა და ლოდნარის ამოღება/გატანა, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნათა დაცვით. ნაყარი მასების მოხსნა/გატანისთვის გამოყენებული იქნება მაღალი გამავლობის მუხლუხიანი ექსკავატორები. ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება მაღალგაბარიტიანი ტვირთამწეობის მქონე თვითმცლელიები. მაღალი ტვირთამწეობის ტექნიკის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს სატრანსპორტო რეისების რაოდენობას, რაც თავის მხრივ ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში გამონაბოლქვისა და მტვრის ემისიებს. სატრანსპორტო მანძილი დაზიანებული უბნებიდან მიმდებ ფუჭი ქანების მუდმივ სანაყარომდე შეადგენს საშუალოდ 100-200 მეტრს. ინერტული ნარჩენების ამოღება და გატანა განაწილდება შემდეგნაირად:

- სანაყარო I (17 კვ.მ): 26 მ³ საერთო მოცულობიდან ამოღებული და გატანილი იქნება დაახლოებით 10 მ³ მსხვილი ფრაქცია, ხოლო ადგილზე მოსწორდება 16 მ³ პოტენციურად ნაყოფიერი ფენა.
- სანაყარო VII (526 კვ.მ): 394.5 მ³ საერთო მოცულობიდან ამოღებული და გატანილი იქნება დაახლოებით 350 მ³ მსხვილი ფრაქცია, ხოლო ადგილზე მოსწორდება 44.5 მ³ პოტენციურად ნაყოფიერი ფენა.
- სანაყარო VIII (235 კვ.მ): 176.25 მ³ საერთო მოცულობიდან ამოღებული და გატანილი იქნება დაახლოებით 150 მ³ მსხვილი ფრაქცია, ხოლო ადგილზე მოსწორდება 26.25 მ³ პოტენციურად ნაყოფიერი ფენა.
- სანაყარო IX (1201 კვ.მ): 900.75 მ³ საერთო მოცულობიდან ამოღებული და გატანილი იქნება დაახლოებით 800 მ³ მსხვილი ფრაქცია, ხოლო ადგილზე მოსწორდება 100.75 მ³ პოტენციურად ნაყოფიერი ფენა.

მსხვილი ფრაქციების გატანის შემდგომ, თითოეულ ლოკაციაზე ექსკავატორისა და ბულდოზერის მეშვეობით განხორციელდება ადგილზე დატოვებული პოტენციურად ნაყოფიერი გრუნტის მოსწორება, რაც აუცილებელია შემდგომი ბიოლოგიური ეტაპის მომზადებისთვის. ბიოლოგიური რეკულტივაციის ეტაპი მოიცავს გაშლილი მასის გამდიდრებას აზოტიანი სასუქებით, ადგილობრივი

კლიმატისთვის შესაბამისი ბალახის თესლების შეტანას (დათესვას) და შემდგომ პერიოდულ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს სტაბილური მცენარეული საფარის ჩამოყალიბებასა და ლანდშაფტის სრულ აღდგენას.

რაც შეეხება სანაყარო VI-ს, მე-6 სანაყარო (5 961 კვ.მ) თითქმის სრულად უკვე ექვემდებარება ბუნებრივ შერწყმას ადგილობრივ ლანდშაფტთან. ტერიტორიაზე დიდი მოცულობის ინერტული ნარჩენები (ძირითადად ქვა/ლოდები) წარმოდგენილია მხოლოდ ალაგ-ალაგ, მცირე რაოდენობით. შესაბამისად, მასზე სრული ექსკავაცია არ იგეგმება, თუმცა ექსკავატორის გამოყენებით განხორციელდება წერტილოვანი საინჟინრო სამუშაოები, ობიექტის 6 ინდივიდუალური ნაწილის საჭიროებების მიხედვით:

- ნაწილი 1: ტერიტორია სრულად არის ინტეგრირებული ბუნებრივ გარემოსთან და მასზე ტექნიკური ჩარევა არ იქნება საჭირო, რადგან ნებისმიერი მექანიკური ზემოქმედება დააზიანებს უკვე ჩამოყალიბებულ ბიოსაფარს.
- ნაწილი 3: ობიექტი ფაქტობრივად შერწყმულია ლანდშაფტთან. არსებულ დიდი გაბარიტის ქვა-ლოდებთან მიმართებაში განიხილება ორი ალტერნატივა: ქვა-ლოდების დატოვება ადგილზე მიკრო-ჰაბიტატის შესაქმნელად (ამ შემთხვევაში მათ გარშემო ნიადაგი არ შევა), ან მათი სრულად გატანა. ლოდების დატოვება წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერის ეფექტურ მეთოდს. ქვის მასივები ქმნის უნიკალურ მიკრო-ჰაბიტატებს (თავშესაფარს) ადგილობრივი ფაუნისთვის - ქვეწარმავლებისთვის, მწერებისა და მცირე ძუძუმწოვრებისთვის. ქვები უზრუნველყოფს მათთვის აუცილებელ თერმორეგულაციას (მზის სითბოს აკუმულირებას) და ამავდროულად, ტერიტორიას ვიზუალურად აკავშირებს ალპურ/სუბალპურ კლდოვან ლანდშაფტთან. დამატებით, ამ მონაკვეთის უკიდურეს აღმოსავლეთ კიდეზე (კოორდინატებით 9, 10, 11 და 13) ფიქსირდება ნალექების (წვიმის წყლის) ჩამონადენის შედეგად ბუნებრივად ფორმირებული მცირე სიღრმის, დაახლოებით 30-40 სმ ბუნებრივი დრენაჟი. (იხილეთ დანართი 4, სიტუაციური ნახაზი) ვინაიდან აღნიშნული დრენაჟი უკვე ემსახურება ზედაპირული წყლების უსაფრთხო გატარებას, ეკოლოგიურად და საინჟინრო კუთხით გამართლებულია მისი არსებული სახით შენარჩუნება, და საჭიროების შემთხვევაში მისი მოწესრიგება, რომელიც ძირითადად წარმოადგენს იმ დონემდე მიყვანას, რომ გაიწმინდოს და მიეცეს ბუნებრივი სახე. შესაბამისად, ამ ლოკაციაზე სრული ამოვსება ან რელიეფის ხელოვნურად შეცვლა არ იგეგმება. განხორციელდება მხოლოდ

მინიმალური ჩარევა, რაც გულისხმობს არხის კალაპოტის მსუბუქად გასუფთავებასა და მოწესრიგებას (საჭიროების შემთხვევაში), რათა შენარჩუნდეს ჩამოყალიბებული წყალგამტარი ფუნქცია და გამოირიცხოს მიმდებარე ფართობის დაჭაობება ან წყლისმიერი ეროზია.

- ნაწილი 2 და ნაწილი 4: ტერიტორიები ბუნებრივად შერწყმულია, თუმცა გზისპირა ზოლში რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერხდება ზედაპირული წყლების თავისუფალი გადინება, რის გამოც გზიდან გადასული წვიმის წყალი და ფერდობიდან ჩამონადენი წყლები გუბდება და იწვევს ლოკალურ დაჭაობებას (მცირე მონაკვეთზე, უკიდურეს გზის მხარეს). უნდა აღინიშნოს რომ გვერდით მონაკვეთებში არსებობდა ბუნებრივი სადრენაჟე არხი, შესაბამისად ზემოთ აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, გზის კიდეზე მოეწყობა, მინიმალური ჩარევით, 40-50 მეტრის სიგრძის ბუნებრივი სადრენაჟე არხი. აღნიშნული უზრუნველყოფს ბუნებრივი სადრენაჟე არხის გაგრძელებას, რომელიც წყალს უსაფრთხოდ გაატარებს საპროექტო არეალის მიღმა არსებულ მიმდებარე ტერიტორიაზე (რომელიც ასევე ჰესის სამოქმედო არეალს მიეკუთვნება) ამავე უბნებზე მოხდება მცირე რელიეფური მოსწორება.
- ნაწილი 5 და ნაწილი 6: აღნიშნული უბნები საჭიროებს მცირე რელიეფურ გეგმარებას (მოსწორებას) და ბიოლოგიური ეტაპისთვის მომზადებას. განხორციელდება ადგილობრივი გრუნტის მოსწორება და სასუქით/თესლით გამდიდრება ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე, რათა ხელი შეეწყოს ბუნებრივი რეგენერაციის პროცესს. უშუალოდ ბიოლოგიური რეკულტივაციის ეტაპი მოიცავს გაშლილი მასის გამდიდრებას აზოტიანი სასუქებით, ადგილობრივი კლიმატისთვის შესაბამისი ბალახის თესლების შეტანას (დათესვას) და შემდგომ პერიოდულ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს სტაბილური მცენარეული საფარის ჩამოყალიბებასა და ლანდშაფტის სრულ აღდგენას.

ზემო აღნიშნული გარემოებების შესაბამისად, გადაწყდა ზემოთ აღნიშნულ სანაყაროების ტერიტორიებზე, გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია განხორციელდეს სარეკულტივაციო სამუშაოებთან.

ასევე ზემოაღნიშნული გარემოებების შესაბამისად, ვინაიდან სანაყაროების ნაწილზე თავდაპირველი სახით არ აღინიშნებოდა სრულფასოვანი ნაყოფიერი ფენა, გადაწყდა წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განხორციელდეს ტექნიკური (სეპარაციის) და ბიოლოგიური სარეკულტივაციო სამუშაოები პოტენციურად ნაყოფიერი ქანის/ფენის მაქსიმალური გამოყენებით.

პროექტის ფარგლებში, დაზიანებულ ტერიტორიაზე იგეგმება სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად ტერიტორიის საზღვრები მკაცრად იქნება დაცული, რათა მიმდებარე ტერიტორიებზე არ მოხდეს მიწის შემთხვევითი დაყრა(გადაყრა), მათ შორის გზასთან მიმართებით და არ შეიზღუდოს მოძრაობა.

სარეკულტივაციო სამუშაოების განხორციელებისას, შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ უზრუნველყოფილი იქნება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით.

სარეკულტივაციო სამუშაოები იწარმოებს ამავე დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

7. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები

პროექტით გათვალისწინებული გამოსასწორებელი ქმედებების სამუშაოების დაწყება განსაზღვრულია პროექტის შეთანხმებისთანავე, ხოლო საბოლოო ბიოლოგიური რეკულტივაცია, დამთავრდება 2027 წლის 1 დეკემბრამდე.

გამოსასწორებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები, რომლის მიხედვით სამუშაოები დაყოფილია შემდეგ ეტაპებად:

- ა) ტექნიკური რეკულტივაცია;
- ბ) ბიოლოგიური რეკულტივაცია;

პროექტით გათვალისწინებული გამოსასწორებელი ღონისძიებების (სარეკულტივაციო სამუშაოების) დაწყება განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტის სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან“ ოფიციალური შეთანხმებისთანავე. გამოსასწორებელი სამუშაოების სრული ციკლი, რაც მოიცავს ტერიტორიების მსხვილი ფრაქციებისგან გათავისუფლებასა (სეპარაციას) და ლანდშაფტური მხარის აღდგენას, დასრულდება არაუგვიანეს 2027 წლის 1 დეკემბრისა.

რელიეფური სირთულეების, სამუშაოთა მოცულობისა და სეზონური (კლიმატური) ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სარეკულტივაციო პროცესის დაყოფა ორ ძირითად, თანმიმდევრულ ეტაპად:

- ტექნიკური რეკულტივაცია: აღნიშნული ფაზა დაიწყება პროექტის შეთანხმებისთანავე, სამუშაოებისთვის ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დადგომისას. ეტაპი მოიცავს საპროექტო არეალებში მძიმე ტექნიკის მობილიზებას, მასების ფრაქციულ სეპარაციას, მსხვილი ფრაქციის გატანას და ადგილზე დარჩენილი პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის/ქანის საბოლოო გეგმარებას (მოსწორებას). ტექნიკური რეკულტივაციის დასრულება სრულად მოამზადებს საფუძველს შემდგომი ბიოლოგიური რეკულტივაციისთვის.
- ბიოლოგიური რეკულტივაცია: ტექნიკური სამუშაოების დასრულებისა და ფართობების მოსწორების შემდგომ, დაიწყება ბიოლოგიური ფაზა. მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდისა და ადგილობრივი აგროვადების გათვალისწინებით, გრუნტის გამდიდრებისა და თესვის სამუშაოების განხორციელება იგეგმება გაზაფხულის ან ადრეული შემოდგომის თვეებში (რათა თავიდან იქნას აცილებული ყინვის ან გვალვის უარყოფითი ზემოქმედება). ეს ეტაპი მოიცავს ადგილზე არსებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის აზოტიანი სასუქებით გამდიდრებას, ადგილობრივი კლიმატისთვის შესაბამისი ბალახის დათესვას და შემდგომ პერიოდულ მოვლა-მონიტორინგს. ტერიტორიის საბოლოო ბიოლოგიური აღდგენა უზრუნველყოფილი იქნება თესვიდან 1 წლის განმავლობაში.

8. სარეკულტივაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაცია

პროექტით გათვალისწინებული სარეკულტივაციო ფართობი (ჯამში 7 940 კვ.მ) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ საპროექტო არეალში. ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია გადაფარულია ჰესის მშენებლობისას წარმოქმნილი საექსკავაციო გრუნტისა და ფუჭი ქანების ნაყარებით, ტერიტორიაზე წარმოდგენილი მიწანარევი ფრაქცია განხილულია, როგორც „პოტენციურად ნაყოფიერი ქანი/ფენა“. (დადგენილება 424, მუხლი 2, პუნქტი „ზ“) შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში ბუნებრივი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ იგეგმება (მოსახსნელი ნიადაგის მოცულობა შეადგენს 0 მ³-ს), არამედ ღონისძიებები მიმართულია უშუალოდ არსებული მასის ადგილზე მართვასა და

სეპარაციაზე. რაც გულისხმობს ნაყარი მასებიდან მსხვილგაბარიტიანი ფრაქციის მექანიკურ გამოცალკევებას (სეპარაციას) და მათ გატანას, ხოლო დარჩენილი მიწანარევი ფრაქციის ადგილზევე დატოვებას, რელიეფის მოსასწორებლად გაშლას და მის შემდგომ ბიოლოგიურ გაჯანსაღებას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად აღნიშნული ნაყარი მასა შეიცავს პოტენციურად ნაყოფიერ მიწი ფენას, რომელზეც ალაგ-ალაგ, სხვადასხვა მცირე მონაკვეთებზე უკვე დაწყებულია ბალახოვანი საფარის ბუნებრივი დაკორდების პროცესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტში არ არის წარმოდგენილია ნიადაგის მოსახსნელი არელების მოცულობა, GIS კოორდინატები და ნიადაგის მოხსნასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები.

გამომდინარე იქიდან, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ ხორციელდება, წინამდებარე პროექტი არ ითვალისწინებს მის შემდგომ დასაწყობებას, კონსერვაციას ან სპეციალური სასაწყობე მეთოდების (მაგ: ნაყარის ფორმირება, ფერდის 45-გრადუსიანი დახრა, დამცავი ბერმების მოწყობა) გამოყენებას. ამავდროულად, არ იგეგმება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სხვა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება ან მისი გადაცემა მესამე პირისთვის.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ეკოლოგიური ბალანსის აღდგენის მიზნით, ტექნიკური ეტაპის (ფრაქციული სეპარაციისა და მსხვილი ფრაქციის გატანის) დასრულების შემდეგ, სხვა ლოკაციიდან ახალი ნიადაგის შემოტანის გარეშე, განხორციელდება ბიოლოგიური სარეკულტივაციო სამუშაოები. ადგილზე გაშლილ და მოსწორებულ პოტენციურად ნაყოფიერ მიწის ფენაში აზოტიანი სასუქებისა და ბალახის თესლის შეტანით, მაქსიმალურად შეეწყობა ხელი და დაჩქარდება ტერიტორიაზე უკვე დაწყებული ბუნებრივი რეგენერაციისა და თვითაღდგენის პროცესი, რაც უზრუნველყოფს მყარი და სტაბილური მცენარეული საფარის საბოლოო ფორმირებას.

9. ტექნიკური რეკულტივაცია

ტექნიკური რეკულტივაციის მიზანია დაზიანებული ფართობების მასების ფრაქციული სეპარაცია, მათი მსხვილგაბარიტიანი ფრაქციისგან გათავისუფლება, რელიეფის ბუნებრივი ნიშნულების აღდგენა/მოსწორება ადგილზე დარჩენილი პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ხარჯზე, ფერდობების სტაბილიზაცია და ტერიტორიის შემდგომი ბიოლოგიური რეკულტივაციისთვის მომზადება.

ტექნიკური რეკულტივაციით გათვალისწინებული სამუშაოებია:

1. ფართობებიდან (I, VII, VIII და IX სანაყაროები) განთავსებული მასების ფრაქციული სეპარაცია, მსხვილი ფრაქციის გამოცალკევება და მისი გატანა;
2. VI სანაყაროზე წერტილოვანი საინჟინრო-გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, სადრენაჟე არხების გაწმენდა ზედაპირული წყლების დაგუბების პრევენციის მიზნით);
3. მსხვილი ფრაქციისგან გათავისუფლებული, ადგილზე დარჩენილი პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის მოსწორება, მოტკეპნა და ტერიტორიისთვის პირვანდელთან (ბუნებრივთან) მიახლოებული რელიეფის ფორმის მიცემა, რათა გამოირიცხოს ეროზიული პროცესები;
4. მთლიანი ფართობის მომზადება ბიოლოგიური ეტაპისთვის (ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ბიოლოგიური გამდიდრებისთვის).

ტერიტორიაზე მასების დახარისხება, მსხვილი ფრაქციის გატანა და შემდგომში ტერიტორიის გეგმარება (მოსწორება) განხორციელდება მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სრული დაცვით.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია ჯამში მოიცავს 7 940 კვ.მ-ს. შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ, შესაბამისი სამუშაოების ფარგლებში, აღნიშნული ტერიტორიებიდან (I, VII, VIII, IX სანაყაროები) ამოღებული და გატანილი იქნება დაახლოებით 1310 მ³ მოცულობის მსხვილი ფრაქცია, ხოლო დარჩენილი დაახლოებით 187.5 მ³ მიწანარევი ფრაქცია (პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენა) სრულად შენარჩუნდება და გაიშლება იქვე, არსებულ უსწორმასწორო რელიეფზე.

გატანის შემდგომ, ადგილზე დარჩენილი მასებისგან ფორმირებულ ფართობს მიეცემა ბუნებრივი დახრის კუთხე, რათა უხვი ნალექის შემთხვევაში არ მოხდეს წყლის ზედაპირული დაგროვება (დაჭაობება).

ფართობზე სამუშაოების ჩატარების პერიოდში შპს „ჭიორა ჰესი“ მკაცრად დაიცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს. კერძოდ, ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპზე, ინერტული ფრაქციების სეპარაციისა და ტრანსპორტირებისას დაწესებული იქნება მონიტორინგი. სარეკულტივაციო ტერიტორიის საზღვრები მკაცრად იქნება დაცული, რათა არ მოხდეს მასების შემთხვევითი ჩამოშლა/გადაყრა მომიჯნავე ბუნებრივ ლანდშაფტზე (მათ შორის ტყის ფონდის, არსებულ გზასა და სხვა ტერიტორიაზე), რათა არ დაზიანდეს ეკოსისტემა და არ შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობა.

10. ბიოლოგიური რეკულტივაცია

ტექნიკური რეკულტივაციის დასრულებისთანავე, ფართობის პროფილის ჩამოყალიბებისა და რელიეფის დასტაბილურების შემდგომ, დაიწყება ტერიტორიის აღდგენის მეორე - ბიოლოგიური ეტაპი. ბიოლოგიური რეკულტივაციის ძირითადი მიზნებია:

- ნიადაგის საფარის პირვანდელ ან პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა - ადგილზე არსებული პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის სტრუქტურის გაჯანსაღება და სტაბილიზაცია;
- მცენარეული (ბალახოვანი) საფარის აღდგენა და ზედაპირული ეროზიული პროცესების (ქარისა და წყლისმიერი წარეცხვის) პრევენცია;
- ლანდშაფტის ვიზუალურ-ესთეტიკური მხარის გაუმჯობესება და ტერიტორიის ეკოლოგიური შერწყმა ადგილობრივ სუბალპურ ეკოსისტემასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, პროექტის ფარგლებში ბუნებრივი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ტრადიციული მოხსნა არ განხორციელდება, ვინაიდან თავად ნაყარი მასა შეიცავს პოტენციურად ნაყოფიერ მიწის ფენას, სადაც ალაგ-ალაგ უკვე ფიქსირდება ბუნებრივი რეგენერაციის ნიშნები. შესაბამისად, ახალი ბიოსაფარის ფორმირება და დაჩქარებული თვითაღდგენა განხორციელდება სხვა ლოკაციიდან ახალი მიწის შემოტანის გარეშე, უშუალოდ ტექნიკური ეტაპის ფარგლებში (ფრაქციული სეპარაციის შედეგად) ადგილზევე შენარჩუნებულ და მოსწორებულ პოტენციურად ნაყოფიერ ფენაზე. ბიოლოგიურ რეკულტივაციას (ზედაპირის მოსწორება და ბალახის დათესვა) დაეკვემდებარება ჯამში 2 287 კვ.მ ფართობი. აღნიშნული მოცულობა შედგება I, VII, VIII და IX სანაყაროების საერთო ფართობებისგან (ჯამში 1 979 კვ.მ), რასაც ემატება VI სანაყაროს წერტილოვანი უბნები (ნაწილი 2, 4, 5 და 6 - ჯამში 308 კვ.მ)

ბიოლოგიური სამუშაოები ჩატარდება შემდეგ ლოკაციებზე:

- ფრაქციულად სეპარირებულ და მოსწორებულ სანაყაროებზე: I, VII, VIII და IX (ჯამში 1 979 კვ.მ).
- VI სანაყაროს წინასწარ განსაზღვრულ, სრულ და წერტილოვან უბნებზე: მე-2 (82 კვ.მ), მე-4 (113 კვ.მ), მე-5 (85 კვ.მ) და მე-6 (28 კვ.მ) ნაწილებზე, რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს 308 კვ.მ-ს.

ბალახის ფესვთა სისტემის სრულფასოვანი განვითარებისთვის, ადგილზე შენარჩუნებული და მოსწორებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ზედაპირი მშრალ მეტეოროლოგიურ პირობებში დაექვემდებარება მსუბუქ დამუშავებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მიწის გადამეტებული დატკეპნა და სტრუქტურის დარღვევა. განხორციელდება ზედაპირული ფენის წვრილმარცვლოვანი გაფხვიერება (დაფარცხვა), რომლის დროსაც სავალდებულო წესით მოხდება გრუნტის ბიოლოგიური გამდიდრება აზოტოვანი სასუქებით, მიკრობიოლოგიური პროცესების გააქტიურებისა და ადგილობრივი ნაყოფიერების პოტენციალის გაზრდის მიზნით. ამის შემდგომ დაუყოვნებლივ განხორციელდება ბალახის თესლის დათესვა. დამატებით საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჰიდროთესვის მეთოდი.

(ბიოლოგიური გამდიდრება) გრუნტის ზედაპირული მომზადებისა და გაფხვიერების შემდეგ, მოხდება მიწის ბიოლოგიური გამდიდრება. აღდგენილ ტერიტორიაზე მცენარეული საფარის განვითარების დაჩქარების მიზნით, დაითესება რაჭის რეგიონისა და ადგილობრივი ფლორისთვის (სუბალპური ზონისთვის) დამახასიათებელი მრავალწლიანი ბალახების თესლის ნარევი.

საუკეთესო შედეგისა და სწრაფი დაკორდების მისაღებად გამოყენებული იქნება მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები. პროექტის განმახორციელებელს შესაძლებლობა ექნება ბაზარზე არსებული ხელმისაწვდომობის მიხედვით შეარჩიოს შემდეგი სახეობები:

- **მარცვლოვანი კულტურები:** წივანა (Festuca), თივაქასრი (Poa), ტიმოთელა (Phleum), სათითურა (Dactylis) და მრავალწლიანი კოინდარი (Lolium). ეკოლოგიური თვალსაზრისით, მარცვლოვანი მცენარეები (განსაკუთრებით სათითურა და ტიმოთელა, რომლებიც კარგად იტანენ მთის კლიმატს) უზრუნველყოფენ გრუნტის სწრაფ დაფიქსირებას და ეროზიის შეჩერებას ძლიერი ფესვთა სისტემით.
- **პარკოსანი კულტურები:** სამყურა (Trifolium), იონჯა (Medicago) და ესპარცეტი (Onobrychis). ეს მცენარეები, გარდა იმისა, რომ ქმნიან ესთეტიკურ ყვავილოვან საფარს, ბუნებრივად ამდიდრებენ გრუნტს ატმოსფერული აზოტით, ხოლო იონჯას ღრმა ფესვთა სისტემა უზრუნველყოფს გრუნტის სტრუქტურის სიღრმისეულ გაუმჯობესებას

სათესლე ნორმა განისაზღვრება საშუალოდ 30-40 კგ/ჰა-ზე (3-4 გრამი 1 კვ.მ-ზე). თესვის პროცესი წარიმართება შესაბამის აგროვადებში (გაზაფხულზე ან შემოდგომაზე), ჯვარედინი მოზნევის მეთოდით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ფართობის თანაბარი დაფარვა. თესლის ჩათესვის სიღრმე განისაზღვრება 1-2 სმ-

ით. დათესვის შემდგომ აუცილებელია ზედაპირის მსუბუქი დატკეპნა, რათა მოხდეს თესლის სრული კონტაქტი ნიადაგთან და გამოირიცხოს მისი ქარისგან გაფანტვა ან ფრინველების მიერ განადგურება. მიკრობიოლოგიური პროცესებისა და დაკორდების დასაჩქარებლად, უზრუნველყოფილი იქნება გრუნტის აზოტოვანი სასუქით გამდიდრება.

ტენიანობის უზრუნველყოფა და სარეველების კონტროლი მაღალმთიანი რეგიონის კლიმატური სპეციფიკის გათვალისწინებით, ახლადდათესილი მცენარეული საფარისთვის საჭირო ტენიანობის უზრუნველყოფა ძირითადად მოხდება ბუნებრივად, ატმოსფერული ნალექების (წვიმის) ხარჯზე. თუმცა, ხანგრძლივი გვალვების ან კლიმატური ანომალიების პირობებში (ანუ საჭიროების შემთხვევაში), ბალახის გახარების კოეფიციენტის შენარჩუნების მიზნით განხორციელდება ტერიტორიის ხელოვნური, დაწვიმებითი მორწყვა.

დამატებით გათვალისწინებული უნდა იქნას, აღდგენილი ლანდშაფტის დაცვა და მართვა. ვინაიდან ტერიტორიაზე ხდება ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის ბიოლოგიური გააქტიურება და ბიოსაფარის ფორმირება, აღდგენილი ტერიტორიის მონიტორინგი და მართვა მოხდება აგროტექნიკური ღონისძიებების სრული ციკლისა და მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდის გათვალისწინებით.

პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის და მასზე აღმოცენებული მცენარეული საფარის მონიტორინგი (მოვლა-პატრონობა) უზრუნველყოფილი იქნება შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ ბიოლოგიური რეკულტივაციის დასრულებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში. ამ პერიოდში მკაცრად გაკონტროლდება ტერიტორიაზე უცხო პირთა და შინაურ ცხოველთა (პირუტყვის) უნებართვო შესვლა-მოვება, რათა არ მოხდეს ჯერ კიდევ გაუმაგრებელი ფესვთა სისტემის დაზიანება.

მონიტორინგის მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს მცენარეული საფარის პროექციული დაფარვის ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ 1-წლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, კლიმატური ან სხვა ფაქტორების გამო გამოვლინდება მცენარეული საფარისგან თავისუფალი (შიშველი) კერები ან წარეცხილი უბნები, კომპანია იღებს ვალდებულებას, განახორციელოს დაზიანებული მონაკვეთების წერტილოვანი დამუშავება და დამატებით მოახდინოს დათესვა, სანამ არ მიიღწევა ტერიტორიის სრულფასოვანი, სტაბილური დაკორდება.

11. სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია პროექტის შეთანხმებისთანავე, ხოლო დასრულება 2027 წლის 1 დეკემბრამდე სამუშაოთა წარმოების გრაფიკი მოცემული ცხრილში №1-ში.

7. ცხრილი სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

№	სამუშაოთა აღწერა	პერიოდი
1	ტექნიკური რეკულტივაცია: საპროექტო ტერიტორიებზე (სანაყაროებზე) განთავსებული მასების ფრაქციული სეპარაცია და მსხვილი ფრაქციის გატანა. ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის გეგმარება, სანიაღვრეების გაწმენდა-მოწყობა, რელიეფის ბუნებრივ ნიშნულებამდე მოსწორება.	პროექტის შეთანხმების შემდეგ - 20.10.2027
2	ბიოლოგიური რეკულტივაცია: ტექნიკურად მომზადებულ, ადგილზე შენარჩუნებულ პოტენციურად ნაყოფიერ ფენაზე ზედაპირული გაფხვიერების (დაფარცხვის), აზოტოვანი სასუქებით ბიოლოგიური გამდიდრებისა და სუბალპური ბალახის დათესვის სამუშაოების განხორციელება.	20.10.2027 - 01.12.2027

*** მეტეოროლოგიური და სხვა ობიექტური პირობებიდან (მაგ. მთიან რეგიონში კლიმატური სეზონის ცვლილება) გამომდინარე, სამუშაოთა წარმოების გრაფიკში შესაძლებელია შევიდეს ცვლილება, რომელიც დამატებით ინფორმაციის სახით წარედგინება, როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ, უფლებამოსილ უწყებას/უწყებებს. (გარემოს ეროვნულ სააგენტოს, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს და სხვა უფლებამოსილ უწყებას საქართველოს შემთხვევაში)

12. მონიტორინგი

გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულების ზედამხედველობა განხორციელდება პროცესის ყველა ეტაპზე შპს „ჭიორა ჰესის“ შესაბამისი გარემოსდაცვითი მენეჯერის ან სპეციალიზებული კონტრაქტორის მიერ. მონიტორინგის მიზანია ტექნიკური და ბიოლოგიური სარეკულტივაციო სამუშაოების გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან, ნარჩენების მართვის სტანდარტებთან და წინამდებარე პროექტის სპეციფიკაციებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კონტროლს დაექვემდებარება მასების ფრაქციული სეპარაციისა და მსხვილი ფრაქციის გატანის პროცესი, ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ხარჯზე ტერიტორიის რელიეფური ნიშნულების აღდგენა (მოსწორება), გრუნტის ბიოლოგიური გამდიდრების ღონისძიებები, დათესვის აგროვადები და, რაც მთავარია, მცენარეული საფარის განვითარების შემდგომი დინამიკა სრული დაკორდების მიღწევამდე.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მონიტორინგის პროგრამა.

8. ცხრილი - მონიტორინგის გეგმა

ეტაპი	მონიტორინგის ობიექტი და პარამეტრი	მონიტორინგის მეთოდი	სიხშირე	პასუხისმგებელი პირი
ტექნიკური რეკულტივაცია	<p>1. ნაყარი მასების ფრაქციული სეპარაცია, მსხვილგაბარიტიანი ფრაქციის გამოცალკევება/გატანა და ადგილზე დარჩენილი პოტენციურად ნაყოფიერი ფენის გეგმარება/მოსწორება (I, VII, VIII, IX, VI სანაყაროებზე).</p> <p>2. გამოცალკევებული მსხვილი ფრაქციის ტრანსპორტირების წესების დაცვა.</p>	ვიზუალური ინსპექტირება, სატრანსპორტო რეისების აღრიცხვა, ტოპოგრაფიული ნიშნულების შემოწმება.	ყოველდღიურად, სამუშაოების მიმდინარეობისას	შპს „ჭიორა ჰესის“ გარემოსდაცვითი მენეჯერი / ზედამხედველი
ბიოლოგიური რეკულტივაცია (ნიადაგის მოწყობა)	<p>1. ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის მსუბუქი დამუშავება და ზედაპირული გაფხვიერება (დაფარცხვა).</p> <p>2. გრუნტის სავალდებულო ბიოლოგიური გამდიდრება აზოტოვანი სასუქებით.</p>	ვიზუალური და ტექნიკური კონტროლი	ყოველდღიურად, პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის, დამუშავების, გაშლისა და გამდიდრების პროცესში	შპს „ჭიორა ჰესის“ გარემოსდაცვითი მენეჯერი / ზედამხედველი
ბიოლოგიური	სათესლე მასალის ხარისხი,	აგროტექნიკური	თესვის პროცესის	აგრონომი / შესაბამისი

<p>რეკულტივაცია (დათესვა)</p>	<p>თესვის ნორმის (30-40 კგ/ჰა) და ჩათესვის სიღრმის (1-2 სმ) დაცვა, დათესილი ზედაპირის დატკეპნა. (საჭიროების შემთხვევაში ჰიდროთესვის პროცესის კონტროლი)</p>	<p>პროცესის ვიზუალური და ტექნიკური ზედამხედველობა.</p>	<p>მიმდინარეობისას</p>	<p>კონტრაქტორი/შპს „ჭიორა ჰესის“ გარემოსდაცვითი მენეჯერი/</p>
<p>პოსტ- რეკულტივირებული (მოვლა-პატრონობა)</p>	<p>1. მცენარეული საფარის აღდგენა და დაკორდების ხარისხის კონტროლი (ცარიელი კერების იდენტიფიცირება). 2. ეროზიული კერების წარმოშობისა და ტერიტორიაზე უნებართვო შესვლა</p>	<p>ტერიტორიის პერიოდული ვიზუალური ინსპექტირება; ფოტო-ფიქსაცია. საჭიროების შემთხვევაში, ხელახალი დათესვის ორგანიზება.</p>	<p>თვეში ერთხელ (სავეგეტაციო პერიოდში), თესვის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში</p>	<p>შპს „ჭიორა ჰესის“ გარემოსდაცვითი მენეჯერი</p>

13. საგანგებო სიტუაციები და სავარაუდო გაუთვალისწინებელი გარემოებების მართვა

მიუხედავად დეტალური დაგეგმარებისა, გამოსასწორებელი ღონისძიებების, მათ შორის სარეკულტივაციო სამუშაოების სპეციფიკისა და მაღალმთიანი რეგიონის რთული კლიმატური პირობების გათვალისწინებით, პროექტის მიმდინარეობისას შესაძლოა წარმოიშვას საგანგებო ან სავარაუდო გაუთვალისწინებელი გარემოებები. მათი რისკების მინიმიზაციისა და მყისიერი აღმოფხვრის მიზნით, შემუშავებულია შემდეგი სამოქმედო მექანიზმები:

1. ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები და წყლისმიერი ეროზია
 - ძლიერი და უხვი ნალექების შედეგად ტერიტორიაზე დამუშავებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის მყისიერი წარეცხვა და ფერდობის დესტაბილიზაცია.
 - საგანგებო რეაგირება: ექსტრემალური ნალექების დაწყებისთანავე განხორციელდება სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება. ტერიტორიაზე წინასწარ, პრევენციულად მოწყობილი დროებითი სანიაღვრე არხებისა და დამცავი ბერმების გამოყენებით მოხდება წყლის ნაკადის უსაფრთხო გადამისამართება. წარეცხილი უბნების დაფიქსირებისთანავე უზრუნველყოფილი იქნება გრუნტის ლოკალურად შევსება-მოსწორება და წერტილოვანი ხელახალი დათესვა.
2. საწვავ-საცხებ-საპოხი მასალების (სსსმ) ავარიული დაღვრა
 - მიწისმთხრელი და სატრანსპორტო მძიმე ტექნიკის (ექსკავატორები, თვითმცლელეები) დაზიანების ან ავარიის შედეგად საწვავის ან ზეთის დაღვრა, რაც გამოიწვევს გრუნტის/ნიადაგის ლოკალურ დაბინძურებას.
 - საგანგებო რეაგირება: სამუშაო მოედანზე მყოფი ტექნიკა აღჭურვილი იქნება პირველადი რეაგირების ნაკრებებით (აბსორბენტები, ქვიშა). დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაბინძურების მყისიერი ლოკალიზაცია სორბენტებით. დაბინძურებული გრუნტი დაუყოვნებლივ ამოიღება და დროებით განთავსდება სპეციალურ კონტეინერში სახიფათო ნარჩენების მართვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შემდგომი გატანის მიზნით.

3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება

- მშრალ სეზონზე (ზაფხულში ან ადრეულ შემოდგომაზე) ტექნიკის გაუმართაობის ან ადამიანური ფაქტორის გამო ხანძრის კერის გაჩენა სარეკულტივაციო (ახლადდათესილი ბალახით დაფარულ) უბნებზე ან მომიჯნავე ტყის ფონდის ტერიტორიაზე.
- საგანგებო რეაგირება: სამუშაო მოედანზე მობილიზებულ ყველა ტექნიკასა და პერსონალს ექნება პირდაპირი წვდომა პირველად ცეცხლმაქრ საშუალებებზე (ცეცხლმაქრები, ქვიშა, ნიჩბები). ცეცხლის კერის დაფიქსირებისას მოხდება მყისიერი ლოკალიზება და, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (112) დაუყოვნებელი ინფორმირება.

4. ლოჯისტიკური და ბიოლოგიური ფორსმაჟორი

- დიდთოვლობის ან მეწყრული პროცესების გამო მისასვლელი გზების ჩახერგვა (რაც შეაფერხებს მსხვილი ფრაქციის გატანას), ან პათოლოგიური გვალვის გამო დათესილი ბალახის მასობრივი გახმობა.
- საგანგებო რეაგირება: საგზაო შეფერხებების დროს მოხდება პროექტის განხორციელების გრაფიკში ცვლილებების ოპერატიული ასახვა და სააგენტოს ინფორმირება. გვალვის შემთხვევაში - ტერიტორიის ხელოვნური ირიგაცია ახალგაზრდა ბიოსაფარის გადასარჩენად.

14. დასკვნა

შპს „ჭიორა ჰესის“ გამოსასწორებელი ღონისძიებების ფარგლებში, სადაც გათვალისწინებულ იქნა სარეკულტივაციო სამუშაოები, დაგეგმილი ღონისძიებების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ წარმოდგენილი ტექნიკური და ბიოლოგიური გადაწყვეტილებები სრულად პასუხობს ტერიტორიის ეკოლოგიური აღდგენის მოთხოვნებსა (პირვადელ მდგომარეობამდე) და თანამედროვე გარემოსდაცვით სტანდარტებს.

პროექტი ითვალისწინებს მაღალმთიან რეგიონში, ჯამში 7 940 კვ.მ დეგრადირებული ფართობიდან (სანაყაროებიდან) მასების ფრაქციულ სეპარაციას და მსხვილგაბარტიანი ფრაქციის გატანას, ხოლო დარჩენილი პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ადგილზე მოსწორებას, რაც ხსნის რელიეფის დესტაბილიზაციისა და ეროზიის რისკებს. ტექნიკური ეტაპის დასრულების

შემდგომ, ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი ფენის ბიოლოგიური გამდიდრება და სუბალპური, ენდემური ბალახების (მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების) დათესვა უზრუნველყოფს ტერიტორიის სწრაფ დაკორდებასა და მიმდებარე ბუნებრივ ლანდშაფტთან ჰარმონიზაციას.

სარეკულტივაციო სამუშაოების ყველა ეტაპი - დაწყებული მასების უსაფრთხო სეპარაციიდან და მართვიდან, დასრულებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებითა და 1-წლიანი პოსტ-სარეკულტივაციო მონიტორინგით - დაგეგმილია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სარეკულტივაციო პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საპროექტო არეალის ვიზუალურ-ესთეტიკურ და ეკოლოგიურ მდგომარეობას, მინიმუმამდე დაიყვანს გარემოზე ნარჩენით გამოწვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას და სრულად უზრუნველყოფს ლანდშაფტის პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენას.

15.სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს / მასალის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	შენიშვნა
I	ტექნიკური სარეკულტივაციო სამუშაოები					
1.1	მასების ფრაქციული სეპარაცია, მსხვილი ფრაქციის მოხსნა და გადატვირთვა ექსკავატორით	მ ³	1310	6	7 860	მანძილი 100-200მ
1.2	გამოცალკევებული მსხვილი ფრაქციის გადატანა სანაყარომდე (სანაყარო I-დან)	მ ³	10	10	100	მანძილი 2კმ
1.3	ადგილზე შენარჩუნებული პოტენციურად ნაყოფიერი მიწის ფენის მოსწორება, გეგმარება და დატკეპნა	კვ.მ	2 287	2	4 574	
1.4	ბუნებრივი სადრენაჟე არხების მოწყობა/გაწმენდა	გრმ. მეტრი.	მაქსიმუმ 60	15	900	
II	ბიოლოგიური სარეკულტივაციო სამუშაოები					
2.3	ადგილზე შენარცუნებული	კვ.მ	2 287	3	8 861	

	პოტენირუად ნაყოფიერი მიწის ფენის გაშლა- მოსწორება და წვრილმარცვლოვანი გაფხვიერება					
2.4	სუბალპური ბალახის თესლის (მარცვლოვანი და პარკოსანი) შესყიდვა	კგ	12	25	300	ფასი გამოთვლილია სხვადასხვა ჯიშების ფასების საშუალო მაჩვენებელზე
2.5	სასუქის შესყიდვა	კგ	50	3.5	175	ფასი გამოთვლილია აზოტოვანი სასუქის სხვადასხვა ბრენდის ფასების საშუალო მაჩვენებელზე
2.6	აგროტექნიკური სამუშაოები: ხელით ან მექანიკური დათესვა, სასუქის შეტანა	კვ.მ	2 287	1	2 287	

III	მართვა და მონიტორინგი					
3.1	გვალვის შემთხვევაში ხელოვნური მორწყვა	კვ.მ	2 287	0.5	1 143,5	
3.2	გაუთვალისწინებელი ხარჯები (საბაზისო ჯამის 7.5%)	სტანდარტული	1		1 815.50	
IV	ჯამური ღირებულება					
4.1	ჯამი დღგ-ს გარეშე	ლარი			26,015.80	
4.2	დღგ (18%)	ლარი			4,682.80	
4.3	სრული ღირებულება	ლარი			30,698.34	


დანართი 1, სიტუაციური ნახაზი, სანაყარო I




დანართი 2, სიტუაციური ნახაზი, სანაყარო VI, ნაწილი 1, 2 და 3



დანართი 3, სიტუაციური ნახაზი, სანაყარო VI, ნაწილი 4, 5 და 6



დანართი 4, სიტუაციური ნახაზი, სანაყარო VI, ექვსიმე ნაწილი და სადრენაჟე არხები.



დანართი 5, სიტუაციური ნახაზი, სანაყარო VII. ორივე ნაწილი



დანართი 6, სიტუაციური ნახაზი, სანაყარო VIII და IX





სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 თებერვალი 2026



N 92/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ ონის მუნიციპალიტეტში დაზიანებული გარემოს ნაწილის (დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო მიწა) პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ

შპს „ჭიორა ჰესი“ (ს/კ 405265626) (შემდგომ - კომპანია) გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის (დეგრადირებული სახელმწიფო ტყის და სასოფლო-სამეურნეო მიწა, ასევე დაზიანებული/განადგურებული სახელმწიფო ტყე) მიყენებისთვის, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტისა და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქველუქებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 12/12/2024 წ. №DES32400000584 ბრძანებით (შემდგომ - №DES32400000584 ბრძანება) დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, რაც ითვალისწინებს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებას, საკუთარი ხარჯით და პასუხისმგებლობით, განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები.

კომპანია ახორციელებს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-2 დანართის (გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები) პირველი პუნქტით („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, რომლისთვისაც გაცემულია იმავე კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 04/10/2019 №2-956 ბრძანება)) განსაზღვრულ საქმიანობას, კერძოდ მდ. ჩვეშურასა და მდ. ხვარგულაზე 15.85 მეგეტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობა - ექსპლუატაციის პროექტს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის, №DES32400000584 ბრძანების მიხედვით, კომპანიის უკანონო საქმიანობამ გამოიწვია: 4.13 ჰექტარი სახელმწიფო ტყის დაზიანება/განადგურება (ამომირკვეულია 13 სახეობის მერქნიანი მცენარე, საერთო მოცულობა 326.71 მ³); 2 894 კვ.მ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის დეგრადაცია; 4 243 კვ.მ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სრული დეგრადაცია; 7 940 კვ.მ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დეგრადაცია. ჯამში, დადგინდა 12 183 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და 2 894 კვ.მ სახელმწიფო ტყის მიწის დეგრადაცია, ასევე 4.13 ჰა სახელმწიფო ტყის დაზიანება/განადგურება, რაც „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, წარმოადგენს გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანს და შესაბამისად, იწვევს მკაცრ გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების მიხედვით, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ, 60 დღის ვადაში, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ, ან აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში - შეუძლებლობის შესაბამისი დასაბუთება (რაც გულისხმობს

მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას ალტერნატიულ ტერიტორიაზე).

კანონის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ 2025 წლის 7 თებერვლის №1140 (2025 წლის 26 ივნისის №6357, 2025 წლის 29 დეკემბრის №13490) და 2026 წლის 29 იანვარი №1150 წერილით სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ინფორმაცია №DES32400000584 ბრძანებით გათვალისწინებული დაზიანებული ტერიტორიის ნაწილის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 940 კვ.მ მიწა) პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №DES32400000584 ბრძანებით დადგენილ დეგრადირებულ ფართობებზე ნიადაგმა განიცადა არსებითი ცვლილებები - დარღვეულია ბუნებრივი სტრუქტურა, შემცირებულია ჰუმუსისა და საკვები ნივთიერებების შემცველობა, გაუარესებულია ფიზიკური და ბიოლოგიური თვისებები. ნიადაგის უნიკალური მიკრობიოლოგიური და ქიმიური ბალანსის გამო, სხვა ტერიტორიიდან ნაყოფიერი ფენის შეტანა, ვერ უზრუნველყოფს პირვანდელი მდგომარეობის სრულფასოვან აღდგენას, რის გამოც დეგრადირებული მიწის პირვანდელ მდგომარეობაში სრულად აღდგენა შეუძლებელია. თუმცა, ვინაიდან ეს ტერიტორია წარმოადგენს ინერტული ნარჩენების სანაყაროს (I, VI, VII, VIII და IX სანაყარო) და მასზე არ არის განთავსებული ჰესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, შესაძლებელია აღნიშნული ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობის აღდგენა, რისთვისაც კომპანია, აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაბამის გამოსასწორებელ ღონისძიებებს განახორციელებს.

ინფორმაციის მიხედვით, კომპანიის მიერ საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ I, VII, VIII და IX სანაყაროზე (ჯამში - 1 979 კვ.მ) განთავსებული ინერტული ნარჩენები გადატანილი იქნება ონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭიორაში, შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ დაპროექტებულ ფუჭი ქანების სანაყაროზე.

რაც შეეხება VI სანაყაროზე (ფართობი - 5 961 კვ.მ) არსებულ ინერტულ ნარჩენებს, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით, იკვეთება ნაყარი გრუნტის ბუნებრივი ჯდომის პროცესი. მეტეოროლოგიური ზემოქმედების (უხვი წვიმისა და თოვლის) შედეგად ნაყარის სიმაღლე შემცირებულია, რელიეფი გათანაბრებულია და მისი ვიზუალური აღქმა მნიშვნელოვნად დაქვეითებულია. ამასთან, ფართობზე ბუნებრივად განვითარდა ბალახოვანი მცენარეული საფარი, რის შედეგადაც ტერიტორია ეტაპობრივად ერწყმის მიმდებარე ლანდშაფტს და მიმდინარეობს ბუნებრივი რემედიაციის პროცესი. აღნიშნულ პირობებში მიზანშეწონილია მინიმალური ჩარევა (მსხვილი ფრაქციის გამოყოფა და გატანა). ფართომასშტაბიანი მიწის სამუშაოების გარეშე, რათა არ დაზიანდეს ჩამოყალიბებული მცენარეული საფარის ფესვთა სისტემა.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია განსახილველად გაეგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის დარგობრივ უწყებებს, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტებს და ონის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელთა მხრიდან წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებულია კომპანიის მიერ 2026 წლის 29 იანვარი №1150 წერილით წარმოდგენილ ინფორმაციაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ დაზიანებული ტერიტორიის ნაწილზე (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 940 კვ.მ), განხორციელებული ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად შეცვლილი გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში სრულად აღდგენა შეუძლებელია, ამასთან, გამოსასწორებელი ღონისძიების განხორციელებით შესაძლებელია აღნიშნული ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად შპს „ჭიორა ჰესი“-ს (ს/კ 405265626) მიერ, 2026 წლის 29 იანვრის №1150 წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტში, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანისთვის (მიწის დეგრადაცია), სსიპ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 12/12/2024 წ. №DES32400000584 ბრძანებით განსაზღვრული დაზიანებული ტერიტორიის ნაწილის

(სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 940 კვ.მ) პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

2. შპს „ჭიორა ჰესმა“ (ს/კ 405265626) სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 12/12/2024 წ. №DES3240000584 ბრძანებით დაკისრებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში, უზრუნველყოს ამავე ბრძანებით გათვალისწინებული დაზიანებული გარემოს ნაწილის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 940 კვ.მ მიწა) პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. შპს „ჭიორა ჰესმა“ (ს/კ 405265626), „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, დაზიანებული გარემოს ნაწილის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 940 კვ.მ მიწა) პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის უზრუნველსაყოფად, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებული, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი (აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადასტურებულ, ამ გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვასთან ერთად).
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭიორა ჰესმა“.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიორა ჰესმა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/92-21-4-202602110858>





ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

12/12/2024



DES 3 24 00000584

**შპს „ჭიორა ჰესი“-სთვის (ს/კ 405265626) მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის
დაკისრების შესახებ**

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების, 28-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, შპს „ჭიორა ჰესი“-ს 2024 წლის 11 ნოემბრის №40/11/2024 წერილის (დეპარტამენტში რეგისტრირებულია 12.11.2024წ №DES 2 24 00068462) და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის 15.11.2024წ. №DES 6 24 00069087 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს „ჭიორა ჰესი“ (ს/კ 405265626) ახორციელებს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 დანართის (გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 04 ოქტომბრის №2-956 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება). სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ საქმიანობის განხორციელების შედეგად (ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭიორაში და სოფელ ლეში 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდრო ელექტროსადგურის მშენებლობა), საქმიანობის განხორციელების ადგილზე, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი. დადგინდა, რომ საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული მიწის 2894 კვ.მ ფართობი დეგრადირებულია, სრულად დეგრადირებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 4243 კვ.მ ფართობი, დეგრადირებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 7940 კვ.მ ფართობი, ასევე სახელმწიფო ტყის 4,13 ჰექტარი ფართობი ისე დაზიანდა/განადგურდა, რომ ამ ტყემ დაკარგა მისთვის განსაზღვრული ფუნქცია და შეუძლებელია მისი ნაწილობრივი ან სრული აღდგენა. ამავე დროს, კომპანიამ 2024 წლის 11 ნოემბრის №40/11/2024 წერილით მომართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამუშაოები ნაწარმოები აქვს

2022 პირველ ივლისამდე და მოითხოვა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმის მასზე გავრცელება.

2. შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ გარემოსთვის მიყენებული ამ ზრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზიანი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი დანართის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ამავე დანართის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს.

3. გარემოსთვის ამ ზრძანებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის, შპს „ჭიორა ჰესი“-ს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დაეკისროს მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

4. ეს ზრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიორა ჰესი“-ზე გაცნობის დღიდან.

5. ეს ზრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №34).

ლევან ჯღარკავა
დეპარტამენტის უფროსი